

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 12

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

18.08.2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ბიჭიკო პაიკიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მალლაკელიძე**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერი - **ალექსანდრე გოგორიშვილი**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - **გონერი მეფარიშვილი**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **გოჩა ჭუბაბრია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - **ირმა ცხვარაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების უფროსი - **ავთანდილ ხელაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი - **ვანდა გიორგაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - **მალხაზ მამასახლისი**.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოქალაქეები: ავთანდილ სუპატაშვილი, ლელა გოგოძე, ეკა ჩახუნაშვილი, თამაზ თავაძე, თამაზ ნიკოლეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 11⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“;

მომხსენებელი: ალექსანდრე გოგორიშვილი

3. „ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვანდა გიორგაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებში - ადმინისტრაციულ და შესყიდვების სამსახურსა და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;“

მომხსენებელი: დავით გაბუნია

5. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“;

მომხსენებელი: ზაზა ოჩხიკიძე

6. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.253) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;“

მომხსენებელი: ზაზა ოჩხიკიძე

7. სხვადასხვა.

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -29

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების განხორციელება განაპირობა საქართველოს მთავრობის N 2630 განკარგულებაში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე შეტანილმა ცვლილებებმა. ვანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 164 ათასი ლარი 11 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის

მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი და შემოსავლების ნაწილი გაიზარდა აღნიშნული თანხით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N 21)

პირველი საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა გია ოჩხიკიძემ და კობა ძაგნიძემ სხდომა დატოვეს.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით ვანის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე გოგორიშვილმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურით გათვალისწინებულია 136 საშტატო ერთეული. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 132, ვაკანსიაა 4, შტატგარეშე მოსამსახურედ აყვანილია 12 თანამშრომელი. მერიაში ფუნქციონირებს 9 სტრუქტურული ერთეული და 9 ა(ა)იპ-ი.

მუნიციპალიტეტის მერმა ვრცლად ისაუბრა თითოეული სამსახურის საქმიანობაზე და ამ სამსახურების მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (მერის ანგარიში იხილეთ დანართის სახით).

მერის მიერ მოხსენების დასრულების შემდეგ სიტყვა მიეცათ საკრებულოს წევრებს. აზრი გამოთქვეს: შალვა ლორთქიფანიძემ, დავით ხარძეიშვილმა, ალექსანდრე ლილუაშვილმა და გიორგი ივანიაძემ.

შალვა ლორთქიფანიძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს განხორციელებული ინფრაქტრუქტურული პროექტების გამო, განსაკუთრებით მის ადმინისტრაციულ ერთეულში

(დინამიკა) და აღნიშნა, რომ წელიწადში ამდენი ინფრასტრუქტურული პროექტი რაიონის მასშტაბით (200 ერთეულზე მეტი) „კომუნისტურის ხანის“ შემდეგ არ განხორციელებულა.

დავით ხარძიანი აღნიშნა ის სასიკეთო ტრადიცია, რომელიც დაინერგა - მერი სისტემატიურად აბარებს ანგარიშს საკრებულოს და ამომრჩევლებს გაწეული საქმიანობის შესახებ; ეს დადებითი ტენდენცია უფრო აჯანსაღებს თვითმმართველობის განხორციელების მექანიზმებს.

ალექსანდრე ლილუაშვილმა საკრებულოს სახელით მადლობა მოუხადა მერს თანამშრომლობისათვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

მუნიციპალიტეტის მერმა ანალოგიურად გამოხატა სამადლობელი დამოკიდებულება საკრებულოს მიმართ და განაცხადა, რომ თუკი მისი საქმიანობა წარმატებული და ნაყოფიერია, ეს საკრებულოსთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. არ არსებობს დაპირისპირება და ჩასაფრების პოლიტიკა, რაც ხელს უწყობს თვითმმართველობის წარმატებით განხორციელებას.

გიორგი ივანიძემ მადლობა გადაუხადა მერს წარმოდგენილი ანგარიშისათვის და გამოვიდა ინიციატივით, რომ მერის მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად. სხვა წინადადება არ გამოთქმულა.

კენჭისყრაზე დადგა შესაბამისი განკარგულების პროექტი. წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2019 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ;“

(განკარგულება N 27 17)

მოსმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ ინფორმაციის სახით წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;“

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს ვანის მუნიციპალიტეტის მერის N20 1478 ბრძანებით და განისაზღვრა 3604879 ლარით. 2020 წლის ექვს თვეში შესყიდვების გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2020 წლის 26 ივნისის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერის N 20 699 ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 8799057 ლარი. მათ შორის: საკუთარი სახსრებიდან - შემოსულობებიდან 868230 ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი 169929 ლარი; საქართველოს მთავრობის N27 განკარგულებით 686550 ლარი; N2630 განკარგულებით 5606166 ლარი; N2752 განკარგულებით- 570000 ლარი; 2019 წლის ნაშთი 898182 ლარი. 2020 წლის ექვსი თვის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 52 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 11; უარყოფითი შედეგით დასრულდა 2; შეწყდა 2; გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 37 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლოსამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 4548543 ლარი. გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 53 ხელშეკრულება. მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით 34 ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 34226,2 ლარი. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 5 ხელშეკრულება ღირებულებით 16347,65 ლარი. კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 14 ხელშეკრულება. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე 130995,2 ლარი; საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაზე-4448 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების შესყიდვა არ განხორციელებულა; საბურავების -2747 ლარი; სატელეფონო მომსახურების- 23600 ლარი; ავტომანქანების ძრავის ზეთის-441 ლარი. კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვების საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 7 ხელშეკრულება ღირებულებით 63378,7 ლარი. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) - 1 ხელშეკრულება, ღირებულებით 6504 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა, შეკითხვები არ დასმულა. ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობის სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიაშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებში - ადმინისტრაციულ და შესყიდვების სამსახურსა და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად იქმნება ახალი განყოფილება „ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება,“ რომელიც დაკომპლექტდება ადგილობრივი თანამშრომლებით. ეს განაპირობებს ცვლილებებს მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, ამიტომ ვითხოვთ რეორგანიზაციაზე თანხმობას.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებში - ადმინისტრაციულ და შესყიდვების სამსახურსა და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურში რეორგანიზაციის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;“

(განკარგულება N 27 18)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის ზაზა ოჩხიკიძის არყოფნის გამო ამავე სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მალხაზ მამასახლისმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანის მიზნით წარმოდგენილია:

1. ავტომანქანა „ტოიოტა რანერი“ (TOYOTA 4-RUNNER), სახელმწიფო ნომრით NLN-939. საწყისი საპრივატიზებო საფასური - 4600 ლარი.

2. ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო“ (MITSUBISHI PAJERO 300 V6 GRS), სახელმწიფო ნომრით VA-141-NI. საწყისი საპრივატიზებო საფასური - 12500 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“;

(განკარგულება N 27 19)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მალხაზ მამასახლისმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.253) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საუბარია ვანის ავტოსადგურის ტერიტორიაზე ბილბორდის განთავსების მიზნით ობიექტის აუქციონზე გატანაზე, რისთვისაც საჭიროა საკრებულოს თანხმობა. ობიექტი გაცემული იქნება იჯარით 15 წლის ვადით და საწყისი წლიური საიჯარო ქირის ღირებულება იქნება - 360 ლარი;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.253) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

(განკარგულება N 27 20)

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე